საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

E-60 მაგისტრალის მოდერნიზაციის პროექტი

აგარა-დიდი სატივეს (კმ114-კმ126) მონაკვეთი

გარემოს ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის საჯარო განხილვის ოქმი

2013 წლის 6 თებერვალს, სოფ. გომის იუსტიციის სახლში ჩატარდა E-60 მაგისტრალის მოდერნიზაციის პროექტის – აგარა-დიდი სატივეს (კმ114-კმ126) მონაკვეთის გარემოს ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის საჯარო განხილვა. საჯარო განხილვის მიზანი იყო მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება E-60 მაგისტრალის აღნიშნულ მონაკვეთზე პროექტით გამოწვეული ბიოფიზიკურ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ.

შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო ინფორმაცია „COWI/GAMMA"-ს მიერ ადგილზე ჩატარებული სამუშაოების შესახებ და პროექტის მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპზე ბიოფიზიკურ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების შედეგებზე. აღინიშნა შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

გეგმების განხილვისას დამსწრე საზოგადოებას შესაძლებლობა ჰქონდა დაესვა კითხვები და გამოეთქვა კრიტიკული მოსაზრებები.

საჯარო განხილვას ესწრებოდნენ ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული, გომის მოსახლეობის და ბიზნესის სფეროს წარმომადგენლები.

სამეცნიერო-კვლევითი ფირმა "გამა"_ს გარემოსდაცვის სპეციალისტმა, მაია სტამატელმა წარადგინა პროექტში მონაწილე მხარეები, მოკლედ მიმოიხილა პროექტი და შესრულებული სამუშაოები.

პრეზენტაციაში ყურადღება გამახვილდა პროექტის ძირითად კომპონენტებზე და მათ შესაძლო ზემოქმედებაზე ფიზიკურ, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე, გარემოსდაცვითი შეფასების პროცესზე, ჩატარებულ საველე სამუშაოებზე, ანალიზისა და მოდელირების შედეგებზე. განხილული იქნა პროექტის სხვადასხვა ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების ძირითადი სახეები. ყურადღება გამახვილდა მცენარეულ საფარზე ზემოქმედებაზე (ხეების მოჭრის) და მის კომპენსაციაზე. მშენებლობის და გზის ექსპლუატაციის პროცესში ხმაურის და ემისიების გავლენაზე ადგილობრივ მოსახლეობაზე. აღინიშნა, ის სავარაუდო ზემოქმედება სოციალურ გარემოზე (მიწის შესყიდვის და განსახლების საკითხები), რომელიც გარდუვალია გზის გაფართოება-მშენებლობის პროექტების დროს და ითქვა ამ ზემოქმედების შერბილების პროცედურის შესახებ. აღინიშნა პროექტის დადებითი და უარყოფითი ზემოქმედებები.

დამსწრეთ დაურიგდათ საინფორმაციო ფურცლები პროექტში მონაწილე ჯგუფის საკონტაქტო მონაცემებით შეკითხვების დასმის და დამატებითი ინფორმაციის მიღების საჭიროების შემთხვევაში კავშირის დასამყარებლად.

შეკითხვებისთვის სიტყვა გადაეცა საზოგადოების წარმომადგენლებს.
კითხვები და პასუხები მოცემულია დანართში ცხრილი № 1-ის სახით.

თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ნუგზარ გასვიანი

საავტომობილო გზების დეპარტამენტის თანამშრომლები:

ზაურ აფშინაშვილი

ლუიზა ბუბაშვილი

კითხვა/კომენტარის ავტორი	კითხვა/კომენტარის შინაარსი	კომენტარები
ბესიკ გაგიშვილი	როგორ გაივლის გზა და რამდენად დიდი იქნება ზემოქმედება სასოფლო-სამეურნეო მიწებზე/საძოვრებზე	გზის იმ ნაწილის მშენებლობა, რომელის გაივლის არსებული მაგისტრალის პარალელურად გამოიწვევს გზისპირა ნაკვეთების გარკვეული ნაწილის „ჩამოჭრას“. განსახლების საკითხებზე მომუშავე ჯგუფი ინდივიდუალურად შეისწავლის ყველა შემთხვევას და განსაზღვრას შესაბამის კომპენსაციას.
მალხაზ ჭყოიძე	რა ბედი ეწევა გომის ქარხნის უკან, მდინარის მხარეს არსებულ წყალსადენის ქსელს და ხომ არ გამოიწვევს პროექტი საწარმოს გაჩერებას.	პროექტში გათვალისწინებული იქნება საპროექტო გზის განთვისების ზოლში მოქცეული არსებული ქსელის ნაცვლად ახალი მილსადენების მოწყობა, რის შედეგადაც საწარმოს ოპერირებას რისკი არ შეექმნება.
ნუნუ მიქელაძე	გამოითქვა წუხილი იმის შესახებ, რომ თუ არ მოეწყობა და არ შეთანხმდება მოსახლეობასთან გადასასვლელების ადგილმდებარეობა მაგისტრალის გაყვანა გაურთულებს მოსახლეობას დასახლებაში მოხვედრას, რადგან დასავლეთ საქართველოდან ან თბილისიდან მოძრაობისას მათ მოუწევთ დიდი მანძილების გავლა	პროექტში გათვალისწინებული იქნება მოსახლეობის მოსაზრება. გადასასვლელების მოწყობის ადგილი შეთანხმებული იქნება ადგილობრივ თვითმმართველობასთან.
გიორგი მარგველაშვილი	რა სარგებელი ექნება მოსახლეობას დასაქმების თვალსაზრისით	ადგილობრივ მოსახლეობას ექნება პრივილეგია შესაბამისი სამშენებლო კვალიფიკაციის ქონის შემთხვევაში, აგრეთვე არაკვალიფიციური მუშახელის დაქირავებისას. გარკვეული შემოსავალი ადგილობრივ მოსახლეობას ექნება მომსახურების ხარჯზეც: მუშების დასახლება სოფლებში, კვება და ა.შ.